



საქართველო  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 96  
02/12/2015

96-06-4-201512021917



განკარგულება №96

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო  
ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხა. (დანართი თან ერთვის)
2. ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზების მიზნით მიზანშეწონილია აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზება აუქციონის წესით.
3. კონტროლი აღნიშნულ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას. (კომისიის თავმჯდომარე დავით ჭაკნელიძე)
4. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო